№ 165. 9 აგვისტო, კვირა. 1866—1881 9 აგვისტო, კვირა. № 165.


**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ. იგ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროებას“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ნიღაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |


# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა


**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., [illegible] ასო, მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., ნუსხურით ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.



სავაჭრო სახლი

## „ძმათა კ. და ს. პაპოვებისა“

მოსკოვში

კანტორა იმყოფება კუზნეცის ხიდეზედ, კ. ს. პაპოვის სახლებში.

პატივი გვაქვს ვაცნობოთ საზოგადოებას, რომ ჩვენი ფირმის ჩაის სავაჭროთ, გავმართეთ საკუთარი მაღაზიები ქვემო-მოყვანილ ქალაქებში:

**ხარკოვში**—პენგროვის ქუჩაზე, საკუთარს სახლში.
**თბილისში**—გალავინის პროსპექტზე, მირიმანოვის სახლებში.
**სებასტოპოლში**—ბალშაია მარსკაიას ქუჩაზე, ვაჭრის კოგენის სახლში.

როგორც ამ მაღაზიებში, აგრეთვე **პეტერბურღში, ვარშავაში** და **კიევში** ჩვენ მაღაზიებში, ჩაი აწონილია გირვანქებათ, ნახევარ და მეოთხედ გირვანქებათ და გაიგზავნება ყოველგან უმთავრესი მაღაზიიდამ, რომელიც იმყოფება მოსკოვში კრასნოსელსკის ქუჩაზე, საკუთარს სახლებში. (30—6)


**ჩვენდა დამოუკიდებელის მიზეზის გამო გუშინ შაბათს ნომერი არ გამოვიდა.**

რედაქცია ბოდიშს იხდის იმ ხელის-მომწერლებთან, რომელთაც, წასრული კვირის განმავლობაში, ადრესის დამწყობის დაუდევრობით, დროზე გაზეთი არ მიუვიდათ.

## ტელეგრამმები

(„სალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურღი**, 5 აგვისტოს. „მმართებლობის მოამბე“ სწერს: გაზეთ „სტრანაში“ დაწერილ ცნობაზე ქ. სარატოვიდამ, რომ 18 მაისს დამით ადგილობრივ ჯარების ორ კაზარმის ეზოში შემოაგდეს აღკრძალული ფურცლები (პროკლამაციები) და იქ მყოფ სალდათებმა წარუდგინეს მთავრობას.

„ახალი გაზეთი“ გვაცნობებს:

სკულპტორმა ჩიჟოვმა გაათავა გარდაცვალებულის ხელმწიფე-იმპერატორის ბიუსტი, რომლის გასაკეთებლად სარგებლობდა ხელმწიფის გარდაცვალების რამოდენიმე საათის შემდეგ გადაღებული მასკით; ხელმწიფე გამოყვანილია ვიც-მუნდირში, ეპოლეტებით, წმ. გიორგის ვარსკვლავში, ამასივე ჯვრით და პრუსიის ორდენით *Pour le merité*.

გოგოლის ბიუსტის დადგმას აპირებენ ქ. ნეჟინში 4 ენკენისთვეს.

„ნოვოსტი“ სწერს, რომ ამ დღეებში გამოცხადდება წესდება შესახებ სამხედრო-მედიკური აკადემიისა, რომელიც შემოღებული იქმნება სამი წლით გამოსაცდელათ.

**ვაშინგტონი**, 5 აგვისტოს. გარფილდის მდგომარეობა, ამ უკანასკნელ დროს შერყეული, ხელ-ახლავ იმედს გვაძლევს.

**პარიჟი**, 5 აგვისტოს. ამომრჩევლების კრებაზედ პარიჟში გამბეტას გაუმართეს საწინააღმდეგო დემონსტრაცია. ყვირილმა და სტვენამ გამბეტას არ ათქმევინეს სიტყვა.

ოფიციალურად გამოცხადებულია: ჯარების დამზადება აღარ იქნება.

**ლონდონი**, 5 აგვისტოს. ეიუბ ხანის ჯარებში შუღლი და უსიამოვნება არ მოსპობილა.

**პეტერბურღის ბირჟა**, 7 აგვისტოს.

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა— | 96— | „ |
| მეორესი— — — — | 94— | 37 |
| მესამესი — — — — | 94— | 75 |
| მეოთხესი — — — | 94— | 25 |
| აღმოსავლეთის პირვ.— | 91— | 37 |
| აღმოსავლეთის მეორე | 91— | 37 |
| აღმოსავლეთის მესამე | 91— | 37 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 7— | 78 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 230— | „ |
| მეორე სესხის — — — | 228— | 25 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — — | 25— | 75 | პენსი |
| ბერლინი — — | 224— | 25 | პფენიგი |
| ჰამბურღი — — | 220— | 50 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 271— | 50 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი — — — | | | |

## ახალი ამბები.

უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილი ჩვენი გაზეთის მოწინავე სტატიის შესახებ ჩვენ გვწერს ერთი ჩვენი თანამშრომელი:

1879 წელს, ბ. დიმიტრი ბაქრაძემ მაჩვენა ერთი ძველი ხელთ-ნაწერი წიგნი და გარდმომცა ისიც, რომ ეს ქართული ნოტებიაო. ნოტები ეტრადზე არის დაწერილი და, როგორც ბ. ბაქრაძე ფიქრობს ეკუთნევის მეჩვიდმეტე საუკუნეს. სჩანს, რომ ამ ნიშნებით ასწავლიდნენ უწინ ჩვენში გალობასა და ამავე ნიშნებით სწერდნენ სხვა-და-სხვა ხმებზე ქართულს გალობას. ურიგო არ იქნება,

---

**«დროების» ფელეტონი, 9 აგვისტ.**

### ფანტაზია

არ მეშინიან
ბედის წერისა,
თუნდა გრიგალმა
თან გამიტანოს,

—

თუნდა ზღვის ზვირთებს
მკერდით შევხვდები,
ტალღებში ზვირთმა
ვერ ჩამიტანოს!

—

თუნდ რომ ჩემს თავზედ
კლდე ინგრეოდეს
და მეხი ჭექით
ზედ მემსხვრეოდეს,

—

უველას ავიტან,
უველას გავიტან,
თუნდ რომ სიკვდილიც
მე მომხვეოდეს!..

—

არ დავლონდები,
არ შევწუხდები,
რომ მე სიცოცხლე
წამს მიქრებოდეს

—

თუ კი ჩემთ მოძმეთ,
მამულის მოტრფეთ,
ვსჭვრეტდე რომ შრომით
არ ილლებოდენ!

—

კეთილის ცნობით,
ამხანაგობით,
გული უწოდესთ,
ეტანჯებოდეთ

—

მათ საშველადა,
თავ განწირულნი,
გულ უშიშრათა,
მტერთა ხვდებოდენ...

—

მაგრამ ვაიმე,
ჩემ სამწუხაროდ,
სად არის, სადა,
ამ გვარი ძმობა?..

—

ვხედავ უგულო,
უსულო შვილებს,
ერთმანერთისა
გულში აქვთ მტრობა!..

კნ. ნინო ორბელიანისა.

24 ივნისი.

### ბათუმის ამბები.

ვიდრე პატივცემულ „დროების“ მკითხველებს ბათუმის ამბებს მოვახსენებდე—პირველათ მსურს მოვახსენო ერთი თათრული არაკი, რომელიც, როგორც მე, ისე ჩემ მოხსენებულ ამბებს შეეხება:—ერთ დროს სტამბოლში ერთი კაცი ყოფილა, რომელიც თურმე ყველას პირს აგინებდა და ლანძღავდა; აუზუნტდა ამას ყველანი და მიათრიეს ყადთან, რომ ის იმას გაესამართლებინა და დაესაჯა, რომ მეორეჯერ აღარ გაებედნა კურთხეული პირის გინება. იმ დროს, როცა ამ კაცს აასამართლებდნენ და დიდებული ყადი დარიგებით და წყრომით ართმევდა ჩვენებას, ამ დროს შემოვიდა ერთი სხვა კაცი და ყადს უთხრა: „დიდებულო ყადო, დღეს ჩემმა ცოლმა თქვენი ქირი წაიღო, მაგრამ ჩემი სიდედრი ჩემ ცოლზე არა ნაკლები ლამაზია და დღესვე თუ არ მომეცი ნება იმის შერთვისა, შვილს დამარხავს თუ არა, გამეცლება ამისათვის გთხოვ ნება ახლავე მომეცი იმის შერთვისაო“. ამ დროს ამ დამნაშავეთ მოყვანილმა კაცმა, რომელიც დაესწრო ამ კაცის ამ ნაირ თხოვნას—აღარ დააცადა ყადს, რომ პასუხი მიეცა და თითონ მიუბრუნდა და უთხრა ყადს: „დიდებულო ყადო, მე რომ ზოგიერთებს პირს ვაგინებ და ვლანძღავ სწორეთ ამისთანა პირის მქონე კაცებს ვაგინებ და არა მგონი შენც არ აგინოვო“. დიდებულმა ყადმა ამითი ეს კაცი გაანთავისუფლა და მეორე ი სასკტიკათ დასაჯა.

ეს არაკი მიტომ მოგახსენეთ, რომ ერთობ ჩამოჰგავს გაზეთების თანამშრომლების და კორრესპონდენტების მდგომარეობას, რადგანაც არა ვგონებ ჩვენში იმდენი მაყვედრებელნი და მდევნელნი ჰყავდესთ ვისმეს, როგორც გაზეთების თანამშრომლებს და მომეტებულათ კორრესპონდენტებს, რადგანაც თუ უკაცრავათ არ ვიქმნები ზოგიერთებთან, ჯერ კიდევ ჩვენში ბევრს, სულ ბევრს გაზეთები და იმათი მნიშვნელობა ფეხებიდან ესმისთ და თუ ვინმე თავიანთ თავს იმაში შეურაცხყოფილს ნახავს იმას ავიწყდება, რომ თუ მართალია, იმათივე გამართლება შეუძლია, მაგრამ ის ამის სამაგიეროთ აფხაზური ჯორივით ტლინკებს ისვრის და აპლაბრის პუბლიცისტივით ვინ არ იცის რას არ ანბობს... „აფყბაო“, „ლანძღვა-გინების მეტი არაფერი იცისო“ და სხვა ამისთანები. მაგრამ, ჩემო პატივცემულო მკითხველო, ვისაც სხვისი უსვინიდისობა აწუხებს და სტანჯავს და რითიმე შეუძლია ჩაგრულებს გული მოფხანოს და მტარვალები დასჩაგროს, ის არ უნდა აქცევდეს ყურადღებას ბოროტების მსჯელობას და არ უნდა ეშინოდეს

რომ ამ ძველს ხელთ-ნაწერს წიგნს ჩვენმა მცოდნე პირებმა ყურადღება მიაქციონ და ბაქრაძესთან ერთათ შეუდგნენ იმის გარკვევას.

* * *

მარტყირიკა მტკვარში დამხრჩვალთა.

გაგრძელება.

ორთაჭალის ახლო, წასრულ კვირას, დამხრჩვალა ერთი დედის-ერთა ხარაზი; შაბათს ორი ბავში ცოცხალმკვდარი ამოუყვანიათ მეთევზეებს იმავე ადგილიდამ; იმავე კვირაში დამხრჩვალა ერთი რუსი...

* * *

ჩვენ გვატყობინებენ, რომ ადრინდელი დურგლების უსტაბაშის მამაჯანოვის საამქრო საქმეებში ბევრი უკანონო მოქმედება აღმოუჩენია ახლად არჩეულ უსტაბაშს.

* * *

გორიდგან სწერენ „მშაკს“ რომ სოფელს შულის-ციხეში მოსახლობა სულ სომხობა არისო. აქაურს სომხებს ამასწინეთ ქართველების სარწმუნოების მიღება უნდოდათო, რადგანაც მათი მღვდელი ერთობ უსამართლოთ და სასტიკათ ეპყრობაო. სწერენ აგრეთვე, რომ ამ სოფელში ერთი ქართველი კაცი არა სცხოვრობსო და ვერც არავინ ბედავს იქ ცხოვრებასა, რადგანაც ხმაა გავრცელებული, რომ ქართველი კაცი იქ ...

* * *

იმავე გაზეთს სწერენ სოფ. ჩხარიდგან, რომ იქაურ მოსახლე სომხები და ქართველები შუა დიდი შური და მტრობა არის ატეხილია და ქართველები სომხებს ერთობ სჩაგრავენო (?!)

* * *

ალაზნის ქვემოთ მხარეს, შავსოფლის მახლობლათ, მტკვრის პირას, გამოდის ერთი წყარო, რომელსაც ქართველები „ქოგილოს წყაროს“ უწოდებენ. ეს წყარო გამოდის კლდიდამ, არის თბილი ცოტა მომჟავო და დიდათ მარგებელი. აქამდის აქ დადიოდა ქალაქის ხალხი საბანაოთ და დედაკაცებს სარეცხი დაჰქონდათ.

უფრო ხშირათ მოდიოდნენ და ბანაობდნენ აქ ავათმყოფები, რომელთაც ტანის ქავილი აქვნდათ ანუ პარტახტის გადასვლაზე იყვნენ; იმათ თურმე ძალიან რგებს ეს წყარო. აქამდის ამ წყაროზედ ლულაც არ იყო დადებული; დღეს კი მშვენიერი შენობა ჩაუყრიათ და აბანოთ ამზადებენ. ამბობენ ეს წყარო ყველა აქაურს აბანოებს სჯობიაო.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

ქარელი, 4 აგვისტოს. საუბედუროთ სოფელს ქარელში მცხოვრებ ებრაელთა მეტის-მეტათ შემოეჩვივნენ ქურდები და ავაზაკები.

ამ თვის პირველს ერთი ებრაელი ვაჭარი სახელდობრ ციცე წიწუაშვილი, იყო სოფელს ხევდურეთში სავაჭროდ და მისდა საუბედუროთ გზაზე შეხვდა ერთი ქარელშივე მცხოვრები კარგი გვარის-შვილი კაცი. ბ. დ. ც.

ამ ვაჟ-ბატონმა ჯერ პირველსავე შეხვედრაზე სოფელს ხევდურეთს ჩვეულებრივი სალამი მისცა მიმავალს წიწუაშვილს და, როდესაც ურია კარგათ დაშორდა სოფელს ხევდურეთს და დ. ც. ხედავდა რომ მიმავალ ურიას მოწმე არავინ ეყოლებოდა, დაჰკრა თავის ცხენს მათრახი და საშინელის ჭენებით დაეწია ვაჭარს წიწუა-შვილსა. მიუახლოვდა თუ არა ურიას, დ. ც. შეუყვირა გაჩერებულიყო.

ვაჭარიც, როგორც მოგეხსენებათ, უიარაღოს მხდალის ვაჭრის გული შიშისაგან გაოცებული დამდგარა. დ. ც. მაშინვე ხანჯალი ამოუკრა და შეუძახნია ურიისათვის ეხლავე რაც ფული გაქვს უნდა შენის ნებით მომცე, თორემ ამ ხანჯლით ლუკმა-ლუკმა გაქცევო; უბედურს წიწუაშვილსაც შიშისაგან ვერაფერი მოუხერხებია რა—და უთქვამს აი ჯიბე და ეს მე აქაო; თუ მე ფული მქონდეს მიირთვი, მაგრამ მე გროში არა მაქ; ეს არის ეხლა გიახლებით სავაჭროთ და არა მაქვს რა ფარჩის მეტიო; ამასაც უპასუხნია თქვენ ვაჭრებმა ახალუხის შიგნიდგან იცით ფულის დაკერებაო და ეხლავე გაიხადე ახალუხი და უნდა გაგშინჯოვო. მეტი რა ღონე ექნებოდა. ვაჭარსაც გაუხდია ახალუხი და დ. ც. გაუსინჯავს მაგრამ ვერაფერი ვერა უპოვნია შიგ, შემდეგ უთქვამს წაღის ყელებში გექნება დამალულიო, ისინიც დაუხდევინებია, ასე რომ, რაღა თავი შეგაწყინოთ, პერანგი და იმის ამხანაგიც კი დეეხდევინებინა და ენახა რომ არა ჰქონიყო-რა. ბოლოს მოგონებიყო შალვრის ჯიბე იქნება იქ ქონდეს დამალულიო. უბედურს ვაჭარს ერთი სხვისგან გატანებული [illegible] ჰქონიყო და ეს [illegible] და მადლობის ნაცვლად ოთხი ისეთი მათრახი გადეეკრა ბეჭებზედ ვაჭრისათვის, რომ ჩოხა შუა გახეთქოდა და ეთქვა: შე ურჯულოვ, აკი ფული არა მაქვსო, აი ეს ხუთი მანეთი მე ამაღამ კარგს ქეიფს მაჩვენებსო და შენ კი ამითი არა დაგაკლდება-რა, ორ საათზედ გაყიდი ხუთის მანეთის სავაჭროსაო. დეეკრა ცხენისთვის მათრახი და ქარელის სტანციის მახლობლათ რომ თეთრი დუქანი გახლავსთ, იქამდის ჭენებით ჩაჭრილიყო; და უბედური ურია გულ-გახეთქილი და ნაცემი შინისკენ დაბრუნებულიყო.

ახლა ბევრს რასმეს ფიქრობენ უბედური ურიები თავიანთ მდგომარეობაზე. რომ იჩივლონ იმ საწყალ ურიას უსიკვდილოთ არავინ ვადაარჩენსო და არ იჩივლონ - ბევრს შემდეგისათვის მოელიან. ნუ თუ ეს მოქმედება მთავრობისაგან უყურადღებოთ უნდა დარჩეს?

ვინმე ისრაელი.

## წერილი რედაქტორთან.

—

ბატონო რედაქტორო! „დროების“ გუშინდელს 159 №-ში გორელი კორრესპონდენტი, ბატონი X, იწერება გორის უეზდის უფროსის უწესოთ მოქმედებაზედ, შესახებ ხიდისთავის მამასახლისის დატუსაღებისა.

აღსადგინებელათ სიმართლისა, უმორჩილესათ გთხოვთ, მისცეთ ად-

---

აფხაზური ჯორების ტლინკებისა! მაშასადამე მეც ამის თანხმად მოგახსენებთ ყველაფერს, ვითაც მე ვხედავ და ვლანძღავ და იცოდეთ თუ ვისთან გვაქვს საქმე და ვინ მკითხველები იყვნენ ჩვენი მოსამართლენი. მაშ მომისმინეთ.

რასაკვირველია არ დამჭირდება იმისი ახსნა, რომ ადამიანის ცხოვრებისათვის ერთ უპირველეს საგანს შეადგენს წყალი, და უამისობა ერთი უბედურებათაგანია.

ვიდრე, რუსები ბათუმს დაიკავებდნენ ოსმალოს ადმინისტრაციის უპირველესს საგანს ის შეადგენდა, რომ ქალაქს ყოველთვის უკლებლათ ჰქონოდა სუფთა სასმელი წყალი, რომელიც ჰქონდათ გამოყვანილი ბათუმის მახლობელ ერთი მთის ძირიდან, რომელიც ყოველთვის უკლებლათ იყო, რადგანაც ბათუმის ხაშმიან და ნამიან მძიმე ჰაერში ჭის წყალი პირველი საწამლავი იყო, როგორც ციებცხელების, ისე სხვა-და-სხვა სნეულების მისაღებათ.

ახლა კი ისე თქვენი მტერი იყოს, როგორც ჩვენი საქმეა! კვირაში ერთხელ ან ორჯერ თუ გველირსება სუფთა წყლის სმა, დიდი საქმეა, თუ არა ჭის წყლის სმით ლამის დავჭირიანდით.

ახლა იკითხავთ იქნების საშუალება არაა გაკეთებისა, ან ქალაქს შეძლება არა აქვსო?! არა. თქვენც არ მომიკვდეთ; ძრიელ ადვილათაც გაკეთდება, ქალაქსაც ორმოცი ათასი ნაღდი ფული აქვს, მთავრობისაგანაც ქალაქს წელიწადში 10,000 მანეთი სუბსიდიათ აქვს, მაგრამ მაგარი ეს არის, რომ პატრონი არა გვყავს და იმდენი ხალხის ბედი ვინცხა ორი დეპუტატის ხელშია!...

ჩვენ დავრწმუნდით ჩვენ ადმინისტრაციაზე, რომ ამას არ შეუძლია ქალაქის მოვლა. მაშასადამე ჩვენ ბრმა გოგოსავით რად უნდა შევჩერებოდეთ სხვას ხელში?! რატომ არ თხოულობენ, რომ ჩვენმა ახალმა ღუბერნატორმა ბ-ნ სმეკალოვმა გვიშუამდგომლოს უმაღლეს მთავრობასთან, რომ ქალაქს თვით მმართველობა მიანიჭონ?! ხომ გვაქვს ამისი თხოვნის უფლება? მაშასადამე, რათ უნდა მივანდოთ ამდენი ხალხის ბედის მართვა ორ იმისთანა დეპუტატს, რომლებიც თითონ ადმინისტრაციის ბრძანებით არიან ამორჩეულნი.... და თავის საკუთარი საქმეებიც იმდენი აქვსთ, რომ ქალაქის საქმეების მმართვაც, რომ ესმოდესთ და სხვის ბრძანებლების აღმასრულებლებიც, რომ არ იყვნენ — იმათ ჩვენთვის არა სცალიანო.

შეიძლება ეს ბბ. დეპუტატები ძრიელ პატიოსანი, ძრიელ კეთილ სვინიდისიანები იყვნენ, მაგრამ ხალხისთვის ეს არა კმარა. ხალხს უნდა მოვლა, ქალაქს უნდა პატრონი — რომელიც ესენი არც შეუძლიათ იმათ, და არც მოეთხოვებათ...

ვინ იქნება პასუხის მგებელი, რომ ერთ მშვენიერ დილას გავიგოთ—„ქალაქის ფული სულ დახარჯულა, ან სულ დაკარგულაო“?!...

იქმნება ისა სთქვათ თუ „ჯერ ბათუმში იმდენი ხალხი არ არის, რომ ქალაქს თვით მმართველობა მიანიჭონ და ამისი აღსრულება ვერ შეიძლონო“!? უნდა მოგახსენოთ ამ ნაირი აზრი ერთობ შეცდომა იქნება, რადგანაც დღეს ბათუმში იმდენი ხალხია მოსული ევროპის სხვა-და-სხვა ადგილებიდან და რუსეთიდგან და იმისთანა პუნკტია ბათუმი, რომ აუცილებელია აქ ქალაქის თვით მმართველობა და ეს ხალხი არ დაუნარჩდება სხვა ქალაქის მცხოვრებლებს საქმეების წარმოებაში.

ქალაქის თვით მმართველობას თავი დაანებეთ, დეპუტატებიც აღარა გვყავს რამდენიც პირველში იყვნენ. შარშან ბ-ნ სტაროსელსკიმაც გამოგზავნა ხალხის თხოვნაზე მოწერილობა, რომ ახალი წლისათვის კიდევ ხუთი დეპუტატი აღმოერჩია ხალხს, მაგრამ არ ვიცით რა მიზეზით დარჩა ის საქმე უყურადღებოთ, მხოლოთ ის კი ვიცით, რომ წრეულს ორის მეტი არავინაა და ისიც თავიანთი ამორჩეულები.

მეტადრე ჩვენ პოლიციას არაფერი შეგვიძლია მოვთხოვოთ, რადგანაც იმდენი არ შეუძლიათ თავიანთი იმ ნაირი წვრილი მოხელეები ამოირჩიონ, რომ ქალაქში წესიერების დაცვის მაგიერ არ დათვრნენ და თითონ არ მოახდინონ უწესოება. მაგრამ რა უნდა მოვთხოვოთ იმათ რომლებიც თავიანთ საკუთარი საქმისათვის სხვის სახლებში დაუკითხავათ შეჰბრძანდებიან.

ზოგიერთი ადგილების უსუფთაობამ ხომ დავვახჩო და დაგვახრჩო! ეს მოვალეობა რომელიც შეეხება ქალაქის ექიმს—რომ პოლიციის წინადადება მისცეს და გაასუფთავებინოს—ის ამაზე ყურებსაც არ იბერტყავს; ამ მოვალეობამ თქვენი ჭირი წაიღოს, არც თავის პირ-და-პირ მოვალეობას ასრულებს! როდესაც ვისმეს დასჭირდება, ის თავის აგურის ზაოდში უნდა ეძებონ, თორემ ის სახლში არ დაუხვდებათ; ამას წინეთ აქაურ მეაბანოვეს კაცი უცებ ავათ გახდომოდა, რომ მისულიყვნენ სათხოვნათ ეთქვათ: „თავის აგურის ზაოდში წავიდა აქ მოაკითხეთო.“ მეაბანოესაც ეფრინა კაცები და ზოგაც ქუჩებში დეეყენებინა, რომ თუ მოსულიყო შეეტყობინებინათ, მაგრამ ვეიანლა იყო; გასძრიელებოდა

გილი თქვენს პატივცემულს „დროებაში“, შემდეგს შენიშნვას:

ზორის უეზდის ნაჩალნიკმა რამოდენიმე დღის წინეთ, მისწერა ხიდისთავის მამასახლისს შემდეგი ბრძანება: „ოთხს მკათათვეს, დილით ადრე, ზორიდგან მიდის ვლადიკავკავს პოლკი. ამისათვის გიბრძანებ სამს მკათათვეს, საღამოს წარმოადგინე ზორში ათი ურემი ყევარ-ხარიანი, ანუ ოცი უღელ ხარიანი, ბარგის წასაღებათ რუისამდე.

სრული სიცრუეა კორრესპონდენტის სიტყვები, ვითომ მამასახლისმა „სიტყვით სიტყვამდე შეასრულა ეს ბრძანება“.

აი როგორ გახლდათ: ხიდის-თავს მამასახლისმა ნაცვლათ ათი ურმისა ყევარ ხარიანისა, წარმოადგინა ზორში მხოლოდ შვიდი უღელ ხარიანი ურემი, სამს მკათათვეს კი არა, როგორც ეწერა ბრძანებაში, ოთხს მკათათვეს შუადღის მეოთხე საათზედ. ამ ბრძანების შეუსრულებლობისა გამო, უეზდის ნაჩალნიკი იძულებული შეიქმნა დაებარებინა დანარჩენი ურმები მახლობელი სოფლის ტინი-ხიდიდგან, საიდგანაც გამოვიდა შვიდი ურემი მდინარე ლიახვში დიდის გაჭირვებით და ვიდრე ეს ურმები გამოვიდოდნენ მთელი პოლკი და ორმოც-და ათი ურემი, დაბარებული სხვა სოფლებიდგან, იძულებულ იყვნენ გაჩერებულ-იყო თითქმის მთელი დღე და პოლკმა დასძრა ბარგი, ნაცვლად დილისა, მხოლოდ ოთხს საათზედ საღამოს.

უეზდის ნაჩალნიკმა დაიბარა ხიდისთავის მამასახლისი, რომელმაც მოახსენა, რომ „ურმები სრულიად გამოვგზავნე, მაგრამ ვერ მოვგნოთო“; გესმით, ბატონო X, ხიდის-თაველებმა ვერ გამოიგნეს გორის გზა!!! მე არ ვიცი სადაური ხართ თვითონ თქვენა, ბატონო X, მაგრამ დარწმუნებული კი ვარ, იცით ხიდის-თავიც და ზორიც და გაიგებთ, რომ ხიდის-თავის მამასახლისმა სიცრუით მოახსენა ნაჩალნიკს გზის დაკარგვა.

აქედგან თქვენ მიხვდებით, რომ ხიდის-თავის მამასახლისი ღირსია დასჯისა, როგორც ბრძანების აუსრულებლობისათვის, (რის გამო პოლკს მარშრუტი შეუცვალა), და სიცრუისთვის. ამგვარათვე განსაჯა უეზდის ნაჩალნიკმა და დატუსაღა მამასახლისი სამის დღით და არა შვიდის დღით, როგორც თქვენ იწერებით. საზოგადოთ, ხიდის-თავის მამასახლისი ვერ ასრულებს რიგიანათ თავის თანამდებობას, ერთისა თუ ორი კვირის წინეთ ეს მამასახლისი კიდევ ბრძანდებოდა ნაობახტში ორი დღის ვადით, და ამის გამო, ამ მამასახლისის ოჯახში იმდონათ არიან შეჩვეული მამასახლისის დატუსაღებასა, რომ იქ არაფერი უბედურება არ მომხდარა.

რაიცა შეეხება თქვენის სტატიის მეორე ნაწილს, მე ეს გარემოება არ ვიცი, მხოლოდ შედარებით თქვენის წერილისა ურმების თაობაზედ, ძალიან ვეჭვეულობ რომ თივის წართმევის გარემოება კარგათ იცოდეთ და ნამდვილი იყოს.

დასასრულ, დავარწმუნებთ თქვენ, ბატონო X, რომ მე არ გიპასუხებდით ურმების შესახებ, თუ რომ ნამდვილათ და დაჭეშმარიტებით არ ვიცოდე ეს გარემოება და ამით ვასრულებ იმ გულის ხმას, რომ ისიც უსვინიდისოა, ვინც სიცრუეს არ გამოაშკარავებს.

პოპიოები: უეზდის ნაჩალნიკი მიწერილობისა მამასახლისისადმი და ამისივე დადგინებისა მამასახლისის დატუსაღებაზედ, შეგიძლიანთ განიხილოთ ზორის უეზდის სასამართლოში.

ა. ჩიჯოიძე.

გორი 1 აგვისტო.

---

# უცხოეთი

—

**პარიჟი.** იმ სიტყვაში, რომელიც გამბეტამ წარმოსთქვა ბელვარში, გამბეტა უარ ჰყოფს, ვითომ იმას დიკტატორობა უნდოდეს. დანარჩენ ხიტყვაში ის განავრცობს უკვე ცნობილ პროგრამმასა. საფრანგეთი თითონ უნდა იყოს თავის მოქმედების პატრონი. უველასთან ის უნდა იყვეს კეთილს განწყობილებაში, გარედამ მტრისგან იცავდეს თავს და შინათ მონარხიელების მომხრეებიდამ.

—

**ლონდონი.** 1 აგვისტოს უნდა მომხდარიყო სამინისტროს რჩევა ირლანდიის საადგილ მამულო ბილლის თაობის გამო. პარლამენტის მდგომარეობა ამ ბილლის მაგო ძალიან საეჭვო არის „სტანდარდი“ ფიქრობს რომ მართებლობა არაფერს დაუთმობს პალატებს. ის არჩევს ამ წელში სულ ხილო არ-ლოს ამ ბილლის გარჩევიდამ. თუ ეხლა ეს ბილლი ვერ გაიყვანეს, ამბობენ, მომავალს შემოდგომაში ხელახლა იქნება პალატაში შეტანილი ბილლი. ტაიმსი ფიქრობს რომ, თუ შერიგება ვერ მოხდა, კაბინეტი დათხოვნილ უნდა იქმნეს.

—

**რომი.** ოთხი გაზეთის ნომრები დაიჭირეს, რადგანაც ამ გაზეთებში პაპის ლანძღვა იყო.

—

**თეირანი.** რომ სპარსეთის მმართებლობას თავი დაახწიონ, ათი ათასი ქურთები მესოპოტამიაში გადაესახლნენ.

---

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

**ორშაბათს.** გავრანსკი — ექიმი ბებიაობისა და ქალების ავათმყოფობისა; გორალევიჩი და ლისიცოვი — შიგნაგან ავათმყოფობისა; როტინიანცი — ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა, ბაბაევი სისუსტის და შინაგან ავათმყობისა; შტემბორსკი ვენერიულ და ტყაისვ ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფ.; რეიხი — თვალების ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; პეტროვსკი — ვენერიულ ავათმყოფობისა,

---

ავათმყოფობა და მეორე დღეს თქვენი ჭირი წაიღო.

მაგრამ მარტო ეს ბატ. ექიმი არ არის, რომ თუ დაგჭირდათ თავის ადგილას ნახოთ: უთოოთ თავიანთ ახალ შეძენილ მამულებში, შენობებზე და პოდრიადებზე უნდა მიაკითხოთ.

ჩვენი ბატ. ქალაქის არხიტექტორი რომელიც არა თუ სახლის, — სამზვარეულოს პლანშიც თხუთმეტ თუმანს თხოულობს, იმასაც კი ვერ ნახავთ თავის ადგილას, რომ იმდენი საქმეები და დავიდარაბა აქვს. დ, თუ სხვას გააკეთებინეს პლანი, ის უთოოთ მიზეზს შემოიტანს და არ დაუმტკიცებს.

ისაა საყურადღებო, რომ ძველ არხიტექტორს ბატ. ქარ... ემდურებოდნენ, რომ თითონ პრაქტიკითაა ნასწავლი, დიპლომი არა აქვს, პლანს სხვას აკეთებინებს და თითო პლანში ორ, და სამ თუმანს იღებსო“ და ახალზეც კი ამავეს ამბობენ: „არხიტექტურისა არაფერი ესმის, — არც დიპლომი აქვს და სხვებს ახატვინებსო“ და ამაში და ძველ არხიტექტორში არაა განსხვაება რომ, „ის ორ და სამ თუმანს თხოულობდა ეს კი ოცდა, ოცდა-ათ თუმანს თხოულობსო“ ასე, რომ ახალის მთხოვნელები ძველს ნატრულობენ!..

„ახლა ზოგიერთები იკითხავენ თუ: „ბატ. ახალი ღუბერნატორი ღენ. სმეკალოვი, ამათ რატომ არ აქცევს ყურადღებასაო?!.“ ამისათვის ახლავე მოვახსენებ ამის პასუხს, რომ ბატ. სმეკალოვი არა თუ მარტო ყურადღებას აქცევს, არამედ დიდ გულ მოდგინებითაც შრომობს ქალაქისა და ხალხის კეთილდღეობისათვის, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ერთი ყვავილის გამოჩენით ზაფხული არ მოვა და ცალი ხელით ტაში არ დაიკვრის!? ვიდრე ნეტარ-ხსენებული ძველი ღუბერნატორის ამაგი გარს ახვევია ახალ-გუბერნატორს არაფრის გაკეთება არ შეიძლება.

სიამოვნებით გაცნობებთ, რომ შემდეგ ბატ. სმეკალოვის მოსვლისა არც ერთი გადასახლებული არ გვინახავს, არამედ ეს მეორეჯერ ვნახეთ დაბრუნებული შავშეთელები, რომლებიც მოწყალებით მიღებულ და გაგზავნილ იყვნენ ბატ. სმეკალოვისაგან.

ამ სასიამოვნო ამბებთან ერთათ — თუმც სამწუხაროთ, მაგრამ სასაცილო ამბებიც უნდა მოგახსენოთ რომელიც ეს რამდენიმე დღეა გაისმა ჩვენს ბათუმში.

— მოგეხსენებათ, რომ შარშან უმაღლესმა მთავრობამ დაამტკიცა ბათუმში თავის ხარჯით ერთი, ოთხ კლასიანი ქალაქის სკოლის გახსნა.

თუმც არ ვიცით პროგრამმა ამ სასწავლებლისა, მხოლოთ შევიტყეთ, რომ ამ სასწავლებელში რუსული ენის გარდა ერთიც ადგილობრივი ენა უნდა იყოს მიღებული — რომლისათვის ხარჯი ქალაქმავე უნდა იკისროს.

ამისათვის ამ დღეებში მიუღია ბათუმის პოლიციას მოწერილობა, რომ ხალხსა ჰკითხონ თუ რომელი ენა სურსთ, ე. ი. ქართული თუ თათრული? პოლიციასაც მოუხდენია განკარგულება, რომ ხალხისათვის გამოსაცხადებლათ და ხალხის სურვილის შესატყობათ გარდაეცათ ქალაქის ერთი დეპუტატთაგანი ბატ. ხ. ალისათვის, რომ ამას წარედგინა ხალხის აზრი და სურვილი მთავრობისათვის.

ეს ბატ. დეპუტატი — ჭანი რომელიც გათქმულია მარტო ფიცრების ვაჭრობაში, — თურმე ჰკრეფს მოლლებში და ჭანებში ჰაზრს, რომ წარუდგინოს მთავრობას.

რამდენათაც დამარწმუნეს სარწმუნო პირებმა, ამ ხალხის და წარმომადგენლის პირს ბატ. დეპუტანტს თუმც ჯერ არ წარუდგენია მაგრამ მზათ კი ჰქონია, რომ როგორც მაჰმადის რჯულის მაღვიარებლებმა თავიანთი რჯულის ფესვს გასამაგრებლათ ითხოვონ თათრული ენა, მით უმეტეს რომ ქართულიც ერთი გიაურების ენათაგანია და ეს მათ არ სჭირიათ და იმისათვის კი ხარჯს ჰკისრულობენ თურმე, — მეჩეთების შემოსავლიდან...

სამწუხაროთ ის მიგვაჩნია, რომ ჩვენი მთავრობა სწავლა-განათლების აზრს ბათუმის ამისთანა ხალხს სთხოვს და სასაცილოთ კი ის მიგვაჩნია, რომ ჩვენ პოლიციას თავიანთი ეს დეპუტატი იმდენათ მიაჩნიათ, რომ ამნაირი აზრის შედგენა და წარდგენა მისთვის მიუნდვია; ლობიო ვანოც რომ თანაშემწეთ მიეცათ პედაღოღიურ აზრებს წარუდგენდნენ...

თუ ჩვენი ბათუმის წარჩინებულ მაჰმადიან ქართველებამდი მიაღწევს ეს ამბავი ეჭვი არ უნდა რომ ისინი თავიანთ მდგომარეობის აწერას გაუმეორებენ — თხოვნით, რომ ისინი მდგომარეობის ცვლილებამ გაანადგურა და იმათ ვერ შეუძლიანთ ვერავითარი ხარჯი იკისრონ ჯერ-ჯერობით და თუ მთავრობა ისურვებს მაღლისთვის მარილის მოყრასაც მაშინ, თათრულ ენას მისცენ ადგილი, როგორც სარწმუნოების შესასწავლებელ საგანს და ქართულ ენასაც როგორც სამშობლო ენას, თორემ ხ. — ალის პედაღოღიური რჩევებით ჩვენი ქართული ურემი კორტოხს ვერ გარდაივლის.

კრაზანა.

26 ივლისს.

ქ. ბათუმი.

**ოთხშაბათს.** კრასნოგორიადოვი და ლისიცოვი შინაგან ავათმყოფობისა; ქიუჩარიანცი და შტემბოსკი—რიფილიტიკური და ტყავის ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს** გავრონსკი—ბებიაობისა და ქალების ავათმყოფ.; როტინიანცი—ქალებისა და ყმაწვილების ავათმყო.; ბაბაევი ძარღვების სისუსტისა და ელექტრო-ტერაპიისა ლისიცოვი და პეტროვსკი შინაგან ავათმყოფობისა; ქიუჩარიანცი 1-ლი სიფილისტიკური ავათმყოფობის.

**პარასკევს.** მინკევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობის; ბახუტოვი—ბებიობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; კრასნოგლიადოვი, ლისიცოვი და ვერმიშოვი—შინაგან ავათმყოფობისა; შტემბოსკი — ვენერიულ. და ტყავის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცოვი — შინაგან ავათმყოფობის. რეიხი—თვალების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტისა და შინაგან ავათმყოფობის; ქიუჩარიანცი 2-რე—ქალებისა და შინაგან ავათმყოფობისა.

ობრეხტი — კბილის ავათმყოფებს, მიიღებს თავის სახლში მუდამ დროს ღარიბებს სავათმყოფოს ბარათებით.

---

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგებელი კამიტეტი ამით აცხადებს, რომ ამ 1881 წ. მომავალის ენკენისთვიდამ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში, რომელიც ქუკიიდამ გადატანილ იქმნება სოლოლაკზედ, გაიხსნება ოცდა-ათამდისინ ადგილი თვის ხარჯით სკოლაში მცხოვრებთ ბავშვებისათვის, ე. ი. ოც თუმნიანი პანსიონერებისთვის.

მსურველთ შეუძლიანთ გამოგზავნონ თხოვნები ენკენისთვის პირველამდის სკოლის ეხლანდელს სადგომში (въ Куки, на второй Кирпичной улицѣ домъ кн. Тактакова), ხოლო ენკენისთვიდამ—სოლოლაკზედ, სათავად-აზნაურო ბანკის გადასწვრივ, მთისაკენ. სადღეის ქუჩაზედ, ბაისოღლოვის № 19-იან სახლში, სადაც ამ დროს იქმნება სკოლა და მისი გამგეობა.

---

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. **ᲘᲥᲕᲔ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ:** ჭარხლისინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—2)

---

ინგლისური ინგბერ შამპანიის ღვინო! ფასი უბუთლოთ 25 კაპ. (ბუთლით 40 კაპ.), დიდი ბოთლია, **ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.** (10—2)

---

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

არწრუნის გალლერეიაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | ჩაის ყველგან |
|---|---|---|
| — — | 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — | 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — | 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — | 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — | 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო | 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—24)

---

ჩაის მცოდნე პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა **ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ** 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. ტფილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ. (100—20)

---

ᲐᲮᲚᲐᲓ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ინგლისის მაღაზიაშია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა. 30% უფრო უკეთესი ვიდრე სადმე სხვაგან. იქვე ისყიდება: პაროესინა არშ. 40 კა. სტაქნები და ბაკლები 10 კაპ., პადნოსები 5 კაპ. მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (25—9)

---

გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

**წითელი ფარანი**, ფასი 15 კ.

**ხატაური** — — — 10 კ.

---

1 სეკდემბრიდამ ამა მდგომარე წლისა გაიმართება ქალაქში მიხაილოვის ქუჩაზე, № 85, სტრახოვის სახლებში, **ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲛᲔᲝᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲔᲑᲘ ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲘᲗ.** ბავშვების მიღება შეიძლება 1 აგვისტოდამ. მსურველთ შეუძლიანთ დაწერილებითი პირობა შეიტყონ ხსენებული ადრესით.

სკოლის მაწარმოებელნი:

ი. გარტინსკი.

(3—2) ა. მირზაშვილი.

---

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემჩიკინი ზეთისა) და სხვ. საავენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭკვანას გიარები. (100—6)

---

ინგლისის მაღაზიაში

ᲗᲛᲘᲡ ᲐᲛᲝᲛᲧᲕᲐᲜᲘ



ᲛᲐᲙ-ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲘ

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტყავილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—12)

---

ᲐᲮᲚᲐᲓ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ.

დიდ ძალი რიცხვი თოფებისა, რევოლვერებისა, სასროლებისა, პირველ მოკრეფის ჩაისა, ბაკლებისა და სხვ. თოფები ჩოკ ბორ (*chôke bore*) *George Dau*-ს ფაბრიკიდამ 120 მან. ბულ-დოგის რევოლვერები 11 მან. 700 კრავატები 5 მანეთიდამ 40 მა-მდის. აქვე ისყიდება პაროესინა ნახევარ ფასად და სხვ. **ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.** (12—7)

---

**ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲗ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.** საავენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. საჩუქრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხველების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—88)

---

ტფილისის ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისს გერარდის წიგნის მაღაზიაში ისყიდება

ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝ

# ᲗᲐᲘᲒᲣᲚᲘ

შედგენილი და გამოცემული ილია ჭყონიასაგან. შინაარსი: I ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა, II უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა, III ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა, IV მ. [illegible] (ლექსი) გ—სა, V ფერი ფერს—მადლი ღმერთს სამ-მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან, VI ჩივილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფიელ ერისთვისა, VII ხასიათის გავლენა სამუელ სმაილსისა, VIII უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა, IX ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში და X მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ფასი თითო წიგნისა ათი შაური.

---

გამოვიდა და ისყიდება

ცენტრალ-წიგნის მაღაზიაში ბულვარზე და გრიქუროვის მაღაზიაში კუკიის ხიდის ყურზე, ბაღის პირდაპირ:

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ

# ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ

ლექსები

ნაწილი პირველი.

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ.

ᲘᲥᲕᲔ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ:

ლექსნი ნიკ. ბარათაშვილისა. ფასი ერთი აბაზი.

ანტონოვის თხზულებანი. ფასი ერთი მანეთი.

ქართული ანდაზები. ფასი ორი შაური.

მეფე ლირი, ტრაგედია შექსპირისა, თარგმნილი ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძისა. ფასი სამი აბაზი.

გრიგოლ ორბელიანის ლექსები. ფასი ექვსი შაური.

დავითიანი (გურამიანი), თქმული დავით გურამიშვილისა. ფასი ერთი მანეთი.

კაცია-ადამიანი, მოთხრობა ილია ჭავჭავაძისა. ფასი ორი აბაზი.

---

ᲢᲐᲥᲡᲘᲐ

საგზებაგ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 15 დღის განმავლობაში, 1 აგვისტოდამ 15 აგვისტომდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

პირველის ხარისხის—1 გირ. 5½

მეორის „ —1 გირ. 4 კ.

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის—1 გირ. 6 კ.

მეორის „ —1 გირ. 4½

ჯვარის-მამის პური:

პირველ ხარის. ლავაში 1 გირ. 7 კ.

მეორის „ „ —1 გირ. 5½

მესამის „ „ —1 გირ. 5 კ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის —1 გირ. 9 კ.

მეორის „ —1 გირ. 7 კ.

სუკი — — —1 გირ. 15 კ.

ცხვრის ხორცი 1 გირ. 9 კ.

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის —1 გირ. 14 კ.

მეორის „ —1 გირ. 12 კ.

ეს ტაქსია არ შეეხება სოფლის მწარმოებლებს, რომელთაც ტფილისის ბაზრებში და მაედნებზე მოაქვსთ ხორაგი გასასყიდლად.

Дозволено цензурою. Тифлисъ. 8 Августа 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.